— „უჯრედში პარტიის 5 წევრია და 15 კანდიდატი"—ამბობდა თათბირზე ერთი დელეგატი.

— „ზემო აღნიშნული უჯრედი თავის გარშემო აერთიანებს პარტიის 3 წევრს და 11 კანდიდატს"—აცხადებდა მეორე და ასე შემდეგ.

სხვათა შორის თათბირზე გამოირკვა ისიც, რომ ადგილობრივად ჩვენი ქვეყნი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოებიც კანდიდატების პარტიაში გადარიცხვის საკითხს არ აქცევენ ისეთ ყურადღებას, როგორადაც ეს საჭიროა.

„საანგარიშო თვეების განმავლობაში სამაზრკომის და რაიკომის მიერ ამხანაგების სრულიად უმნიშვნელო რიცხვი იქნა დამტკიცებული პარტიის წევრებად"—ო—აღნიშნავენ თათბირზე სხვადასხვა მაზრის საორგანიზაციო განყოფილებების გამგეები თავიანთ მოხსენებებში.

უფრო მეტიც. თათბირზე გამოირკვა, რომ ჩვენში არის ისეთი ადგილები, სადაც ამა თუ იმ ამხანაგს რამოდენიმე, 3—4 წლის საკანდიდატო სტაჟი აქვს და მას ვერ ღირსებია და ვერა პარტიაში გადასვლა. ეს ყველა ის ნაკლი, რომლებიც ამ უახლოეს ხანში აღმოფხვრილი უნდა იქნენ.

მაგრამ აქ მაინც საინტერესოა ვიკითხოთ, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ ასე შეფერხებულია ამხანაგების პარტიაში გადარიცხვის საქმე? ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ კანდიდატს ხშირად არა ყავს ისეთი ამხანაგები, რომლებიც რეკომენდაციას მისცემენ მას პარტიაში გადასარიცხავად. მეორე მიზეზია—თვით კანდიდატების ნაკლები აქტივობა. მესამე მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენი უჯრედებიც თავისი დროზე არ აყენებენ საკითხის, სადაც ეს საჭიროა, კანდიდატების პარტიაში გადარიცხვის შესახებ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისიც, რომ სოფლად აქა-იქ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კანდიდატებს და პარტიის წევრებს შორის არავითარ განსხვავებას არ ხედავენ. როგორც კანდიდატები, ისე პარტიის წევრები ერთნაირად არიან ჩაბმული და გამოყენებული პარტმუშაობაში.

ეი ყველა ეს დამაბრკოლებელი მიზეზები უეჭველად დაძლეული უნდა იქნან. საკითხი კანდიდატების პარტიაში გადარიცხვის შესახებ კი, რომელიც დღეს უაღრესად საჭირბოროტო ხასიათის საკითხთაგანია ჩვენი ორგანიზაციის მოწესრიგების დარგში, უნდა სათანადოდ გადაეჭრათ

მაგრამ რა გვმართებს ჩვენ ამ შემთხვევაში?

მე-14 პარტიუზმა კონფერენციამ გადაიდებელ ამოცანად მიიჩნია „ახალ-კანდიდატების პარტიაში გადარიცხვის გაძლიერება და სწორედ ამ მიზნით კიდეც გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით კანდიდატებს უმსუბუქდებათ პარტიაში მიღების ფორმალური მხარეები.

რასაკვირველია, ეს დადგენილება იმას არ ნიშნავს, რომ გადარიცხვამ მიიღოს კამპანიის ან მეკანიკური ხასიათი. აქ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიაში გადაყვანილ უნდა იქნან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც საკმაოდ მომზადებული არიან პარტიის რიგებისათვის და აქვთ ბოლშევიკური გამოცდილება.

რაც ეხება სამაზრო და საოლქო კონტროლებს, მათ მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდე მიაქციონ კანდიდატებს თავის დროზე პარტიაში გადარიცხვას, რათა შემდეგისათვის ადგილი არ ჰქონდეს იმ არასორსალოსას. რომელსაც ჩვენ ხემოთ ვლაპარაკობდით.

ბ—ლი.

პარტმუშაობის განაწილებისათვის

პარტიის ორგანიზაციული მშენ ბლობის ძირითადი პრინციპ ინაში მდგომარეობს, რომ პარტიის თითოეულმა წევრმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტმუშაობის ამა თუ იმ დარგში.

რას გვავალებს ჩვენ ეს პრინციპი? იმას, რომ პარტიის ყველა წევრს შორის უნდა არსებობდეს მუშაობის თანაბარი განაწილება, რომ ყველა პარტიმხანაგები მასიურად ჩაბმული იქნან უჯრედების მუშაობაში.

სამწუხაროთ დღეს-დღეობით ამ მხრივ არ არის ყველაფერი რიგზეთვით ის ფაქტი, რომ პარტიაში მთელი თავისი სიმწვავით სდგას საკითხი პარტიული აქტივის განტვირთვის შესახებ, მოწმობს, რომ პარტიმხანაგებს შორის მიზანშეწონილათ არ არის განაწილებული პარტიული მოვალეობანი.

ყველასათვის ცხადია, რომ პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ორ ნაწილად იყოფა: ერთ-ერთ მხრივ ეს ბოლშევიკური ინფორმაციაა, ანუ ინფორმაციის მიღება ბოლშევიკურ ცენტრებიდან, ანუ ინფორმაციის გადაცემა ბოლშევიკურ ცენტრებისადმი. ეს ინფორმაციის ორ ნაწილად ყოფა ეფუძნება ბოლშევიკურ ორ ფუნქციას, ანუ ბოლშევიკურ ორ ფუნქციას, ანუ ბოლშევიკურ ორ ფუნქციას, ანუ

ტუეების გაფაცელა გლეხობისათვის

დადგენილება № 48

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა

ადგილობრივი მნიშვნელობის ტუეების გლეხობის სარგებლობაში გადაცემის შესახებ

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტყის კოდექსის მე-8—7 მუხლების აღსასრულებლად ერთიანი სახელმწიფო ტყეთა ფონდიდან უნდა გამოიყოს და გადაეცეს გლეხობას უფასო სარგებლობისათვის საშენი და სათბობი მასალით შინაური ოჯახური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, შემდეგი ტყის ნაკვეთები:

1) ტყეების ნაციონალიზაციამდე გლეხობის საერთო სასოფლო ან კომლობრივ მფლობელობაში ჩონებული ყველა საგლეხო ტყე, რომელსაც ეკუთვნოდა თავისი საჭიროებისათვის სარგებლობდა და რომელიც ამ ეამად საგლეხო მიწის ფონდისა ან მის გარეშე მდებარეობს.

შენიშვნა: ვინაიდან რომელიმე ზემოაღნიშნული ტყის ნაკვეთის დაბრუნება გლეხობისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელია, ამ ნაკვეთის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო, მის ნაცვლად გლეხობას უნდა მიეცეს სამაგალო ტყის ნაკვეთი უახლოეს სახელმწიფო ტყის ადგილას, უკეთუ ამ უკანასკნელსაც არ აქვს სახელმწიფოებრივი დაცვითი მნიშვნელობა.

2) ყოფილი სახაზინო, სამონასტრო სამანაკო და მემამულეთა ის ტყის ნაკვეთი მთლიანად ან ნაწილობრივ ან შეკრილია საგლეხო მიწის ფონდში, ან გარს აკრავს, და საიდასაც გლეხობას ეძლევა ხე-ტყე ოჯახური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, უკეთუ ამ ნაკვეთს არა აქვს დაცვითი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და მისი გადაცემა გლეხობის სარგებლობაში არ დაარღვევს სახელმწიფოებრივი ტყეების მთლიანობას.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის გაჩეხა და სხვა გვარი სარგებლობის ნაკვეთად გადაქცევა შესაძლებელია მხოლოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით (სატყეო კოდექსი მუხ. 11).

3. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გლეხობისათვის გადაცემა მოხდება თანამშრომელ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა, სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების პირი შემდგარი კომისიების მეშვეობით, იმ პირობით კი, რომ ყოფილი საგლეხო ტყეები ჩაბარდეს გლეხობას ოქტომბრის 15-დე, ხოლო დაბარნენ ნაკვეთების გადაცემა განხორციელდეს 1926 წლის იანვრის 1-მდე.

4. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყენება, გადაცემა და მოყენება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე საბიუჯეტო წესით. ალიმნული ტყეების მოყენა უნდა დამთავრდეს 1927 წლ. იანვრის 1-მდე.

5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშაოს და სასრულოფოდ დაუშვებლოს მაზრის სათანადო ცირკულიარები და ინსტრუქციები ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გლეხობისათვის გადაცემისა და საოკუბლობის წესისა.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის ხელიდან მისი გაიოქმყოფებისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე Ш. ПАЧАЧАДЗЕ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასოფლებელი კომიტეტის მდივანი ს. ТОМСКИЙ.

1925 წ. ოქტომბრის 10.

თბილისი—სასახლე.

ა.-კავკასია—აღმოსავლეთის საბჭჭრო პალატაში

როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, ამიერ-კავკასია-აღმოსავლეთის საგაჭრო პალატაში ამჟამად დაწყებულია კავშირი ოსმალეთის აღმოსავლეთ პროვინციების მთელ რიგ საგაჭრო პალატებთან.

ეხლახან მიღებულ იქნა ცნობები ტრაპიზონის მაზრის მდგომარეობის შესახებ. დამყარებულია კავშირი აგრეთვე ყარსის და ერზრუმის საგაჭრო ოთახებთან.

მაკედან (სპარსეთი) საგაჭრო პალატას ა-ყოფნებენენ ბაშმის საუკეთესო მოსავლის შესახებ, რომელიც 100 პროცენტით აღემატება შარსა დელს. ეს ადგილები სპარსეთის ამ რაიონში ბაშმის შესაყიდად.

იქნება ფართო შესაძლებლობა ჩვენი მანუფაქტურის ექსპორტისათვის ასტრაბადის ბაზარზე.

სპარსეთთან საგაჭრო ურთიერთობის გასაადვილებლად, საგაჭრო პალატა ახლო მომავალში უშვებს საექსპორტო სარკინიგზო ტარიფების კრებულს, რომელშიაც შეტანილი ტყეების 3000-დე ცხობა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ პუნქტებიდან სპარსეთის საზღვრამდე არსებულ ტარიფებს შესახებ. ამ კრებულით შეუძლიათ ისარგებლონ სამეურნეო ორგანიზაციებს. საექ.-პორტ ტარიფის საკითხის დაჩქარებით გადაჭრის აუცილებლობის გამო, ამ დღეებში შესდგება საგაჭრო პალატის სხდომა, რომელსაც დაესწრებიან საძეურნეო ორგანიზაციების და ა | კ. რკინისგზათა საძმართველოს წარმომადგენლები.

დღის წესრიგშია მზადების დაწყება ბაქოს 1926 წლის ბაზრობისათვის, ბაქოს ბაზრობის გახსნა განზრახულია თებერვალში.

როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, საექსპორტო საქონლის ნიმუშთა გამოფენა, რომელზედაც მონაწილეობას ძალიან ბევრ საბჭოთა ორგანიზაციები და სპარსელი ვაჭრები, გაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებში თბილისში. უკვე მოდის გამოფენის კომიტეტის სახელზე დიდძალი ექსპონატები.

საქართ. კომუნალური ბანკები

მთელს ამიერ-კავკასიაში პირველად თბილისში დაარსდა კომუნალური ბანკი. ბანკის ორი წლის საქმიანობა იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, რომ მალე მოიპოვა პოპულიარობა და ნდობა, როგორც მოვლაქეებში, ისე სახელმწიფო დაწესებულებებს შორის. ბანკის ოპერაციები და სამოქმედო ასპარეზი თანდათან ფართოვდება. თბილისის კომუნალურ ბანკს უკვე აქვს თავისი ფილიალები ქუთ., ბათომში, ფოთში, გორში და ახალსენაკში. ბანკის გამგეობას განზრახული აქვს გახსნას საქალაქო განყოფილება თბილისის და ადგილობრივ ადგილებში. ეს ბანკი ეკუთვნის ბანკების ტიპს. ბანკი ეკუთვნის ბანკების ტიპს. ბანკის ძირითადი კაპიტალი ერთ მილიონ მანეთს შეადგენს. ბანკის მოქმედების ასპარეზის გაფართოებასთან ერთად განზრახულია ბანკის ძირითად კაპიტალის 2 მილიონ მანეთამდე გადიდება.

კომუნალურ ბანკის სიშუალეთა წყაროს წარმოადგენენ ქალაქის აღმასკომ დან გაღებული თანხა (ძირითადი კაპიტალისთვის), საბჭოთა კავშირის ცენტრ. კომუნალურ ბანკიდან მიცემული თანხა, მიზნობრივი სესხები, სხვა საკრედიტო დაწესებულ. ებიდან სესხად გამოტანილი სესხები და სხვა.

პასესიში შედის უმთავრესად თბილისის კომუნალურ წარმოებათა და დაწესებულებათა სალაროების ნაშთები.

სესხები და საკრედიტო ნაშთები შეადგენენ ა—კ. კომუნალური ბანკების ბალანსის 12 პროც.-ს. ამიერ-კავკასიის ბანკების დავალიანებას ბასოლიუტიურ ციფრებში 1925 წლის პირველ ივლისისათვის გამოსატავს 2.209.000 მან. აქედან საკრედიტო დაწესებულებებიდან წამოღებული სესხი შეადგენს 1.094.000 მან., ხოლო 1.115.000 მანეთი არის საკრედიტო სალდო.

ა | კავკასიის კომუნალურ ბანკების მოქმედება შეადგენს ა | კ. ყველა ბანკების შეერთებული ბალანსის 14 პროც. ასეთივე ადგილი უჭირავს საკავშირო კომერციული ბანკების მოქმედებას შეერთებულ ბალანსში.

კომუნალურ ბანკებიდან სესხად გატანილი თანხების უმეტესი ნაწილი ხმარდება კომუნალურ წარმოებებს, ქალაქის მშენებლობის, და საქალაქო მრეწველობის განვითარებას. ალსანიშნავია ის, რომ ამ ბანკების პასივის ზრდა საშუალებას არ იძლევა იმდენად გაფართოვდეს ოპერაციები კომუნალური მშენებლობის დარგში, როგორც ამას ცხოვრების საჭიროება მოითხოვს.

ავანსების წინააღმდეგ

(საძ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

მიუხედავად მრავალჯერ გაცემული განკარგულებისა და ცირკულიარებისა თანამშრომელთათვის ჯამაგირის ანგარიშში ავანსების გაცემის შეწყვეტისა და დავალიანების მოკლე ვადაში განაღდების შესახებ, ზოგიერთი დაწესებულებაში დღემდის დიდი თანხა ირიცხება თანამშრომლებზე. ამაში ყველაზე მეტი ცოდვებები მიუძღვის სამეურნეო ორგანოებს, რადგანაც მათ აქვთ თავიანთ ფილიალები, რომელთა საგრძნობი ნაწილი პირდაპირ დანიშნულებას არ ხმარდება და ეძლევა ავანსის სახით თანამშრომლებს, რის გამო რამდენიმე ათასობით სახალხო ფული თვეობით ძევს ჩაკეტილ თანხის სახით და არამც თუ არ იძლევა არავითარ სარგებელს, პირიქით მისი უკან მოღებაც საეჭვოა. ცხადია, რომ ასეთი მიზანშეუწონლად გამოყენება საბრუნავ თანხისა საზარალოა თვით დაწესებულებებისათვის და ხშირად აყენებს ასეთ ორგანოებს მეტად ცუდ მდგომარეობაში.

რომ ასეთ მოვლენებს დღემდის აქვთ ადგილი ჩვენს დაწესებულებებში, ამას ნათლად გვიჩვენებს წარმოკავშირში მომხდარ რეგისტრაციის შეღებები. ამ დაწესებულების ბუხგალტერიის ცნობებით თანამშრომელთა დავალიანება შეადგენს 21.916 მან. 10 კ.

ცეკავშირის თანამშრომლებზე კი ა. წ. 1 | IX ირიცხებოდა ჯამაგირის ანგარიშში მიღებული ვალი 28.067 მან. 44 კაპ.

რას უნდა უდრიდეს საბრუნავი თანხის რაოდენობა რომელიმე კომერსანტის ან და ჩვენი სამეურნეო ორგანოსი, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად და საქმის დაუზიანებლად გაიღონ რამოდენიმე ათეული მანეთი თანამშრომელთათვის უსარგებლოდ გადასაცემად სესხის სახით.

თუ რამდენათ უხვათ აძლევდა წარმოკავშირი თანამშრომლებს ავანსებს, ამის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები: ამ დაწესებულების 96 პასუხისმგებელ და ტეხნიკურ თანამშრომლებიდან (ვამგეობის წევრების ჩათვლით) 46-ზე ირიცხება ავანსები, ეს ავანსები უდრის ამ თანამშრომლების ერთიდან 8 თვის ჯამაგირს. ეს ის თანამშრომლებია, რომელთაც ეძლევათ თვეში 33 მან. 70 კაპეიკიდან 100 მანეთამდე, ასე მაგალითად მოანგარიშე სტატისტ., რომლის თვიური ჯამაგირი უდრის 83 მ. 70 კ. მოუხერხებია მიეღო ჯამაგირის ანგარიშში 503 მ. 25 კ. ე. ი. 6 თვის ჯამაგირი.

29 თანამშრომლებზე, რომელთაც ეძლევათ თვეში 100—300 მანეთამდე ირიცხება ავანსი 1—6 თვის ჯამაგირის ოდენობამდე, ასე მაგ., ყოფ. საფინანსო განყ. გამგეს, რომელიც ღებულობდა თვეში 193 მან. 50 კ. გაუტანია ჯამაგირის ანგარიშში—1174 მან., ე. ი. ნახევარ წლის ჯამაგირზე მეტი, ხოლო კონტროლიორს, რომელიც ღებულობდა—130 მ. თვეში, ნაირებს 878 მ. 50 კ. ე. ი. თანხა, რომელიც 6 ნახ.-ზე აღემატება მისი თვიური ჯამაგირს.

ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის 1.119 მან. 80 კაპ., რომელიც ირიცხება ჯამაგირის ანგარიშში გაცემულად წარმოკავშირის... სარეგისტრო კომისიის თავმჯდომარეზე, რომელიც თავის თანამდებობის მიხედვით ვალდებულია თვალყური ადევნოს საბრუნავი თანხის მიზნებშეწონილად გამოყენებას და დროზე მიიღოს ზომები უკანონო მოქმედების აღსაკვეთად. თუ სარეგისტრო კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც ეძლევა 193 მ. 50 კ. თვეში მიუღია ავანსად ჯამაგირის ანგარიშზე 5 ნახ.-ჯერ მეტი მის თვიური განაკვეთისა, მაშინ რა გასაკვირია, რომ „საქმისმწარმოებლის მოგალეს“ (თურმე ასეთი თანამდებობაც არის წარმოკავშირში) გუუტანია ჯამაგირის ანგარიშში—561 მ. 86 კ. ე. ი. მისი თვიური ჯამაგირის (67 მ. 50 კ.) 8-ჯერ მეტი.

გარდა ამისა დავალიანების საერთო ჯამიდან (21916 მ. 10 კაპ.), რომელიც ირიცხებოდა ა. წ. 20 სექტემბრამდე წარმოკავშირის თანამშრომლებზე—5 ყოფილ თანამშრომელსე ირიცხება 3230 მან. 25 კაპ. ამ პირებს კარგა ხანია დაუტოვებიათ სამსახური, მაგრამ დღემდისაც არ დაუფარავთ თავიანთი ვალი

ამაზე უფრო უნაგვენო სურათის გვისახავს ჩვენ ცეკავშირის გამოკვლევას შედეგები; ამ დაწესებულებაში თანამშრომლებზე ა. | წ. 1 სექტემბერს ირიცხებოდა ჯამაგირის ანგარიშში გაცემულად—28,067 მან. 44 კაპ., ხოლო ზოგიერთი თანამშრომელთა დავალიანება უდრის 6 თვის ჯამაგირს.

გარდა ამისა ცეკავშირის ყოფილ თანამშრომლებზე ა. | წ. 1 სექტემბერს ირიცხებოდა 24.434 მან. 40 კაპ., ამ ყოფილ თანამშრომლთა სიიდან ზოგიერთები 1923 წლიდან არ მსახურობენ ცეკავშირში.

მოხსენია რა ამოკვლევის მასალები საქართველოს კ.პ.ბ.ს.კ. პრეზიდიუმის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის გაერთიანებულმა სხდომამ წინადადება მისცა ცეკავშირს და წარმი კავშირს მიიღონ სასწრაფო ზომები წესულ თანამშრომლებზე დარჩენილ ვალების ასანაზღაურებლად, ხოლო ამჟამად მოთუშავე თანამშრომლებს მოათხოვოს სამ დღის განავლობაში დაუბრუნონ ოფ. სებულებებს ანგარიშ ქვეშ მიღებული თანხები, წინადადებ. შემთხვევაში მოსსნილ იქნენ სამსახურიდან საქმის სასამართლოში გადაცემით. რაც შეეხება ჯამაგირის ანგარიშში გაცემულ ავანსებ ს, ასეთების დასაფარავად დადგენ ს ყოველთვიურად თანამშრომელს ჯამაგირიდან 25 პროცენტიდან 50 პროცენტამდე (ჯამაგირის ოოდენობის მიხედვით).

გარდა ამისა აღნიშნულ სხდომამ მიიღო მეული რიგი ღონისძიებათა ჩვენი სამეურნეო და სავაჭრო დაწესებულებებში აღმოჩენილ ყოველად დაუშვებელ მოქმედებათა აღმოსაფხვრელად, რომელიც ხანდისხან ბოროტმოქმედებამდი აღწევენ.

პროფკავშირები

მეტი თვითმოქმედება და მეტი კრიტიკა

(შაბრიკა-ქარხნების და ადგილკომიტეტების მივლენარე არჩევნების გამო)

ათ ოქტომბრიდან დაიწყო თბილისის ფაბრიკებში საფაბრიკო-სამრეწველო და ადგილობრივი კომიტეტების ხელახალი არჩევნები. ეს არჩევნები ყველა დღემდე წარმოებულ არჩევნებზე უფრო საყურადღებო და საგულისხმიერო. ამ არჩევნებისკენ უნდა იქნეს მიქცეული მუშა-მოსამსახურეთა მთავარი ყურადღება. ყოველი მუშა-მოსამსახურე უნდა ცდილობდეს, რომ რაც შეიძლება, მეტი კრიტიკით, მეტი მოთხოვნით მოეპყრას თავის არჩეულს. თუ მაგი არჩეული პირი მიიკოკულებს მიმმაბაში, არა აქვს მუშათ ბის უნარი, რომ თავის ამხანაგებს ემსახურა, როგორც საჭიროა, საერთო კრებამ ეს მხედველობაში უნდა მიიღოს და შემდეგში არ აირჩიოს ასეთი ადგილკომში, ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში.

დღეშიც არჩევნები ხდებოდა ხშირად წამოყენებული სიის მიხედვით. ზირად წაუყენებდენ დამშადებულ სიებს საერთო კრებებს და მთელ სიას უყრიდენ კენჭს. ასეთი მეთოდით მიმდინარე არჩევნები არამც და არამც არ უნდა ტარდებოდეს არჩევნები უნდა მოხდეს პერსონალურად. თითოეულ კანდიდატს ცალკე უნდა ეყაროს კენჭი და ვინც მეტს მიიღებს, ის იქნება არჩეული. ეს ამ-მოსამსახურეთა ინტერესების დამცველად. ამ შემთხვევაში ინსპექტორ-ებიდან ორ ათეთაურ ძალდატანებას ადგილი არ უნდა ექნეს. თვით საერთო კრებაა არჩევნების ბატონ-პატრონი და ვინც მას უნდა, იგი იმას აირჩევს.

არ ვიცი აქ, თბილისში იყო შემთხვევა თუ არა, პროვოკაციათა კი ადგილი ჰქონდა ასეთი მოვლენებს: ადგილი ჰქონდა ასეთი მოვლენებს: არჩევნების დროს მუშა-მოსამსახურეებმა, როცა „ბვერიანი პასუხი“ რეებმა, როცა „ბვერიანი პასუხი“ მოსთხოვეს თავის არჩეულს, არჩეული პასუხის გაცემის მაგივრად დაეშვა ა სამსახურიდან დათხოვნით ერთ-ერთ კრების მონაწილეს, რომელიც ყველაზე უფრო კატეგორიული ბრალდებ ა ბეჭდ ა ბ ა ბ ა ბ

განათლების ფრონტზე

პროფტეხნიკური განათლების საქმე თბილისში

(საუბარი პროფტეხნიკური განათლების მთავარმმართველობის გამგესთან ამხ. მ. მეძმარიაშვილთან)

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა მდგომარეობაა წელს უმაღლესს სასწავლებლებში საერთოდ პროფ. ტეხნიკურ განათ. მთავარმართველობის გამგემ ამხ. მეძმარიაშვილმა განაცხადა შემდეგი:

სახელმწიფო უნივერსიტეტები

სახელმწიფო უნივერსიტეტში, ყველა ფაკულტეტებზე მიღებულთა რიცხვი წინასწარ იყო განსაზღვრული, დაახლოებით წელს უნდა ყოფილიყო გამოცდებზე დაშვებული 475 კაცი, ამას გარდა გამოცდების გარეშე მიღებული უნდა ყოფილიყო 250 კაცი სპეციალურ ტეხნიკუმიდან და მუშათა ფაკულტეტებიდან. ნამდვილათ კი მიმღებ კომისიაში განცხადება შეიტანა 1800 მსურველმა, აქედან საუკეთესოდ ჩაბარების გამო, მიღებული იქნა 800 კაცი. ამ რიგათ აღნიშნული რიცხვი 475 ძალაუნებურათ გადიდებულ იქნა 800-მდე.

აღსანიშნავია, რომ მოწაფეები განსაკუთრებით ეტანებიან საინჟინერო ფაკულტეტს, შემდეგ კი უფრო სოციალურ ეკონომიურს და აგრონომიულს.

ლენინის სახელობ. ინდუსტრიალურ ინსტიტუტში

გამოცდებზე დაშვებული იქნა 1,000-მდე, აქედან მიღებული იქნა დაახლოებით 200 კაცი.

პედაგოგიურ ინსტიტუტში

შემსვლელთა რიცხვი წელს ბევრი იყო. განზრახული იყო 30 კაცის მიღება, მაგრამ მსურველთა რიცხვის გამო, გახსნილი იქნა პარალელური ჯგუფი.

ტეხნიკუმებში

წელს ჩვენ გვაქვს შემდეგი ტეხნიკუმები: ინდუსტრიალური, სასოფლო-სამეურნეო, პროფ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიური ტეხნიკუმი, 1, 2 და 3 სამრეწველო ტეხნიკუმი, სიმბური პედაგოგიური ტეხნიკუმი და მუსულმანური პედაგოგიური, რომელიც წელს გაიხსნა მუსულმანურ სკოლებისათვის გამოცდილ მასწავლებლების მოწოდების მიზნით, ვინაიდან ამ მხრივ აღნიშნული სკოლები განიცდიდენ მეტად უნუგეშო მდგომარეობას. ამ ჩამოთვლილ ტეხნიკუმებს შორის, ყველაზე უფრო მეტი მსურველი მიაწყდა

ინდუსტრიალურ ტეხნიკუმს

განცხადება შემოიტანა 300 კაცმა, საუკეთესოთ გამოცდების ჩაბარების მიხედვით მიღებული იქნა მხოლოდ 100 კაცი. ამ სასწავლებელს უმთავრესად ეტანება მშრომელი ახალგაზრდობა, ამიტომ მიღებული იქნა რა ძმეველობაში ეს, დანარჩენი მსურველები განაწილებული იქნენ სხვა სამრეწველო ტეხნიკუმებში. ტეხნიკუმს აქვს უმთავრესი განყოფილებები—სპეციალურად მექანიკური, ელექტრო-ტეხნიკური და ვიდროტეხნიკური. რომლებიც 52, მათ შორის 27 რუსი, 5 სომები (2 ახალციხიდან, 3 აჭარიდან), 5 დაღესტნიდან, 11 ჩრდილო-ოსეთიდან, 1 ჩეჩნეთიდან. თბილისიდან 42 კაცი, მათ შორის 18 რუსი, 16 სომები, 3 ქართველი და 5 წითელარმიელი.

სომხურ მუშფაკზე სულ ჩაირიცხა 51 კაცი, მაზრებიდან—8 კაცი, თბილისიდან 43.

ყველაზე უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ წელს თბილისს მოაწყდა სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები მთიულეთიდან. მაგალითად თუშეთიდან, ფშავეთიდან, ხევსურეთიდან, სვანეთიდან და სხვ. განათლების კომისარიატმა გაუწია რა სათანადო ანგარიში ალნიშნულ მოვლენას, გადიდა სტიპენდიანტების ოიცხვი მუშათა ფაკულტეტებზე და მთიული ახალგაზრდობა ჩარიცხულ „იქნ“ სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ფაკულტეტებზე მიღებული ეიქნ“ სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშფაკში.

მთიულეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს შორის იყვნენ ქალებიც, რიცხვით 12, რომლებიც განაწილებული იქნენ საფეიქრო, სამკერვალო, შინამრეწველობის და სხვა სათანადო სკოლებში.

ეს მოვლენა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, შეტად საყურადღებოა და შეიძლება ითქვას, პირველი მაგალითიც, როცა მთიული ახალგაზრდობა ასე დაინტერესდა სწავლით. განათლების კომისარიატი შემდეგში შეეცდება უფრო ფართოდ და სავსებით დააკმაყოფილოს მთიული ახალგაზრდობის სურვილი, როგორც ადგილობრივ სკოლების ქსელის გაფართოებით, ისე უმაღლეს სასწავლებლებში მათთვის საკმო რიცხვის დაშვებით **სახელმწიფო ხარჯზე.**

ყველა აღნიშნულ სასწავლებლებში ნორმალური მეცადინეობა დაიწყო 1 ოქტომბრიდან.

ნ.

სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი აფხაზეთში.

მომდინარე წელს აფხაზეთში ახალ ათონის მონასტრის შენობაში გიმნაზია საკოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი. ჯერ-ჯერობით სასწავლებელში მოწაფეები ჰყავთ აფხაზეთის ყველა მაზრების და ეროვნებების. სექტემბერ-ოქტომბერში სწარმოებს ახალი მოწაფეთა მიღება. ტეხნიკუმი 4 წლიანია. პირველი გამოშვება მოხდება 3 წლის შემდეგ. ტეხნიკუმი ამზადებს კვალიფიციურ სოფლის მეურნეებს და სასოფლო-მეურნეობის ტეხნიკოსებს. ამ ჟამად ტეხნიკუმი გვიჩვენებს განიცდის იმ გარემოების გამო, რომ არა აქვს თავისუფალი მიწები პრაქტიკულ მეცადინეობის საწარმოებლად.

წინამძღვარიანთ-ყარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

სექტემბრის დამლევს დამთავრდა წინამძღვარიანთ-ყარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის შენობის კაპიტალური შეკეთება. სწავლა გაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებიდან.

თბილისის მეურნეოლოგის და ისტორიის მუზეუმი

ქალაქის აღმასკომის პოლიტგანმა 1924 წელს გახსნა ქალაქის მეურნეობის და ქალაქ თბილისის ისტორიის მუზეუმი.

მუზეუმი გახსნილია ყოფილ ფეოდოსიის ეკლესიაში.

მუზეუმში შეკრებილია როგორც წარსული, ისე ეხლანდელი დროის საუკეთესო ექსპონატები.

მუზეუმის ამოცანაა მუშის კულტურულად განვითარება. მუზეუმში მუშა ეცნობა ქალაქ თბილისის სამეურნეო და ისტორიულ მხარეს.

მუზეუმი იყოფა ორ ნაწილად:

საკეთილო ცხოვრება.

ტრამვაი, წყალსადენი, მილიცია, ავეცლის მჭრელი რაზმი, სახალხო განათლების განყოფილება, სხვადასხვა მოდელები, ქსელები, დიაგრამები.

თბილისის ქუჩების ფოტოგრაფიული სურათები.

ქალაქ თბილისის ისტორია.

ძველ დროის სურათები, ძველი ლიტერატურა, რეკონსტიტუციონურ მუშაკთა პორტრეტები და ქალაქ თბილისის ტიპები.

მუშები დიდი ინტერესით და ყურადღებით ათვალიერებენ მუზეუმს. 1925 წლის იანვრიდან მუზეუმი დაათვალიერა 1500 კაცმა, რომელთაგან მეტ ნაწილს შეადგენენ მუშები.

ფრუმის მეცნიერული ორგანიზაციისთვის

შ. ს. ო.-ს თბილისის კომიტეტის დოკლადიები.

„პირველი ტალღა“.

ფრუმის მეცნიერული ორგანიზაციის იდეების ფართოდ გასავრცელებლად გადაღებულ იქნა კინო სურათი „პირველი ტალღა“. ეს სურათი მხოლოდ ერთი ნაწილისაგან შესდგება.

ჯერ სანამ სურათი საჩვენებლად არ გამოსულა, უკვე მასზე მოთხოვნილებები მოდის. ამისათვის „პირველი ტალღის“ გადამღები წინადადება მიეცათ სურათი რამოდენიმე ცალად დაამზადონ.

შ. ვ. ო.-ს დღე.

19 ოქტომბერი შ. ვ. ო-ს დღეთაა გამოცხადებული. ამ დღისათვის ნაჩვენები იქნება კინო-სურათი „პირველი ტალღა“ და გამოვა სპეციალური გაზეთი და ლოზუნგები.

რადიო-პროპაგანდა.

შ. ვ. ო-ს იდეების მასაში ფართოდ გასავრცელებლად, შ. ვ. ო-ს ლოგის თბილისის კომიტეტს განზრახვა აქვს გამოიყენოს რადიოშოპმე ადგური, რომელიც გამოწერილი აქვს ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატს ამერიკიდან და რომლის მიღებას მოელის მომდინარე წლის მარტში. მანამდე კი ამ მიზნისათვის გამოყენებული იქნება ნავთლულის რადიო-სადგური.

მუშათა ცხოვრება

„მგელი რასა სჭამს?!“

(პატარა ფელეტონის მაგიერ)

ერთ შრომის სკოლაში მასწავლებელ ქალს წინ სდგას დედა, რომელსაც გვერდზე უდგას შვიდი წლის ბავშვი.

— რისთვის მოსულხარ?—ეკითხება დედას მასწავლებელი.

— მინდა ბავშვი მოგაბაროთ სკოლაში.

— რამდენი წლისაა?

— შვიდი წლისაა, ქალბატონო!

— ეროვნება შენი.

— მაჰმადიანი. მასწავლებელმა ტუჩები დაკრანჭა.

— ქმარი გყავს?

— მყავს.

— ვაჟარია?

— არა, მუშაა; მასწავლებელი თითქოს შეკრთა; არ ესიამოვნა.

— სად მუშაობს შენი ქმარი?

— თუთუნის ქარხანაში.

— წერა-კითხვა იცის ბავშვმა?

— რომ იცოდეს, თქვენთან რალად მოვიყვანდი.—მუშა-ქალის მოსწრებული სიტყვა მასწავლებელს არ ეთენწონა.

— რა ენაზე ლაპარაკობს ბავშვი?

— დედა-ენის გარდა ცოტა რუსულზეაც.

— მაშ, როცა მე თათრულს ვისწავლი, მასაც კითხვას მაშინ ვასწავლი, თორემ სხვაფრივ ძნელია.

— რაც თქვენ იცით, ბავშსაც ის ასწავლეთ. სხვა ჩვენც არ გვინდა. მიუგო ლედამ.

— მაშ, ეხლა ვკითხავ რამეს და თუ მიპასუხებს, შეიძლება მივიღო, ამ სიტყვებით მასწავლებელი ქალი მიუბრუნდა ბავშსა.

— აბა მითხარი: მგელი რასა სჭამს, ხორცს თუ ბალახს?

ბავშვი გაშტერებით მიაჩერდა დედას.

— ვერ გაიგო რა ჭკითხეთ, რა არის მგელი. თქვენ, ქალბატონო, ჯერ უნდა გეკითხთ, იცის თუ არა ბავშვმა, რა არის მგელი და მერე საქმელ ზედაც შეეკითხებოდით, შენშა მასწავლებელს დედამ.

— თქვენ თუ უკეთ გესმით, აქ რაღად მოკაკვეთ!

— თქვენი ვალია ჯერ ასწავლოთ და მერე ჭკითხოთ.

— შეგიძლიათ მიბრძანდეთ. ბავშვები უკვე მიღებულნი არიან და თავისუფალი ალაგიც აღარ არის.

იმედ-გაკიცებული დედა გამობრუნდა შინისაკენ და ბავშვიც თან წამოიყვანა. ბავშს სწავლა ურდოდა და სკოლის გარეთ კი დარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ვერ გაიგო „მგელი რასა სჭამდა“.

მუშა ამხალი.

სენაკში თვითმშრომელთა საზოგადოების შესახებ

სენაკსა და მის მაზრაში იმყოფებიან ბევრი თვითმშრომელები. ესენი არიან მკერავები, მეწფეტეები, მეჩექმეები, რომელნიც სხვის ზრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან და თავისი შრომით ირჩენენ თავს და თავიანთ ოლენ-შვილს.

ეს საკითხი—საბჭოთა ხელისუფლებისათვის ყურადღების მისაქცევი და მათი გაერთიანება—ხელს შეუწყობს, როგორც წარმოების გაფართოების საქმეს, ისე თვითთმშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას.

საჭიროა ამ ხალხის გაერთიანება ერთ ძლიერ საკუთარ კავშირში.

მათთან საუბრის დროს არა ერთს გამოუთქვამს ასეთი კავშირის დაარსების შესახებ სურვილი.

სენაკის სამაზრო პროფბიუროს, რომლის ხელში არის მშრომელთა შეკავშირების საქმე,—უნდა მიაქციოს თვითმშრომელებს ყურადღება და შეადგინოს მათი კავშირი.

ეს გაადვილებს ჩვენს ძალებს!..

მუშკორი **ბ. ურჩენიშვილი**

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მოგვაშორეთ ეს აგარხანა.** ახალი ბრესენალის ქუჩაზე № 15, სახლის ქვეშ არის „სავაჭრო“. რით გინდათ, რომ არ ეაჭრობდეს ხსენებული „სავაჭროს“ პატრონი ბრისტეფორია! საწერილენოთი, ღვინით, არყით და სხვა... საღამოობით გროვდებიან აქ როსკიები ქალები და ავარები ხშირათ იმწერთები მუშტი-კრივი და დანების ტრიალიც; ლანძღვა-გინებას ხომ დასასრული არა აქვს, რის გამოც ახლო-მახლო მცხოვრებლებს დღე და ღამე მოსვენება არა აქვთ.

მუშკორი **მილიციელი.**

—

— **„ძმა“ გეყოფა.** ტუჩკოვის ქუჩაზე № 2 სახლში, სცხოვრობს მეგელი ვინმე **გრიგორა მაკოიანცი,** რომელიც დღე და ღამე ლანძღვა-გინებაშია. გვიწუხებს ეს კაცი ყველას.

მოარჯულეთ.

ზღვისპირელი.

—

— **მიიღეთ სასწრაფო ზომები.** მე-9 სამილიციო უბანში, ოსიპოვის შესახვევში, სახ. №-3-ში, სცხოვრობს უპატრონო ოლიკო სულაძე. ამ ბოლო დროს იგი ფაქტიურად გაგიჟდა,—ტიტველ-შიშველი დაიარება. იყო მაგალითიც, რომ მგზავრს მიუვარდა, ყელში წაუკრა და ხალხი რომ არ მიშველებოდა, დაახრჩობდა; ეზოში, სადაც ის სცხოვრობს, სულ დანით დაიარება და მდგმურები მისი ცქერით შეშინებულნი არიან.

მიიღეთ ზომები.

მუშკორი ვარდი.

— **მოაწესეთ ეს ბაქანი.** ბაქანი ჩიტათი არის ლანჩხუთის და ჯუმათის შუა 38 ვერსზე ბაოთმოდან. ამ ბაქანით სარგებლობს რვა სოფელი, დაახლოვებით ათასამდე კომლი. ძველათ ეს ბაქანი ყოფილა გადახურული, ქონებია წარწერა და ყოლია დარაჯიც, ახლა კი ყოველივე ამას მოკლებულია. წვიმიან დროს, მეტათ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან მგზავრები, რომლებიც ცის ანაბარათ რჩებიან.

საჭიროა ყურადღების მოქცევა, ვისგანაც ჯერ არს.

ფირუზიშვილი.

ჩვენი პასუხი

(ამხ. რაზმაძეს)

„კომუნისტი“-ს № 214-ში მოთავსებული წერილი, რომელიც ეხება „ზაჰესის“ მუშკომის და აღმშენებელთა კავშირის ცკ. გ. კულტგანყოფილების მოქმედების და სადაც ნათქვამია, ვითომდა ზაჰესის მუშკომს და აღმშენებელთა კავშირის ცკ. გ. 25 26 სამოსწავლო წლის განმავლობაში მუშფაკში გაგზავნილი ჰყავდეთ ნაცვლად ულარიბესი მუშა-ახალგაზრდებისა შემლებულნი და სპეკულიანტები, რომელთა სახელს და გვარს კორესპონდენტი არ ასახელებს.

შეცდომის თავიდან ასაცილებლათ და სინამდვილის გასაშუქებლათ საჭიროთ მიმაჩნია აქვე გამოვაქვეყნო მუშფაკში გაგზავნილ პირთა ვინაობა.

ხსენებული პირნი—ყველანი არიან ფიზიკურათ მომუშავენი. ან ვინ არიან ესენი, ჩამოვთვალოთ სათითაოთ:

1. მხეიძე გრიგოლ—კავშირის წევრი 1918 წ., აქტიური მომუშავე აღმშენებელთა კავშირის ცკ. გ. წევრი, ხელობით ზეინკალის თანაშემწე და ა. ლ. კ. კ. ლენინის რაიკომის წევრი;

2. კერესელიძე ნიკოლოზ—კავშირის და პარტიის წევრი, აქტიური პროფესიონალური და პარტიმომუშავე ზაჰესის მუშკომის და შრომის დაცვის კომისიის წევრი, ხელობით ზეინკალი, გლეხის შვილი;

3. ცხვედიანი ანიპოდისტე—კავშირის წევრი 1924 წ., ხელობით ფურგალი. ზაჰესის მუშკომის და შრომის დაცვის კომისიის წევრი;

4. ალოიან სურენ—კავშირის წევრი 1924 წ., ლარიბი გლეხის შვილი, მოჯამაგირე ნამყოფი, ხელობით შავი მუშა;

5. კერესელიძე იასონ—კავშირის წევრი 1924 წ., აქტიური მომუშავე კომკავშირის ორგანიზაციისა, ხელობით მზეთავი;

6. მარტოლეკ ვახტანგ—კავშირის წევრი 1924 წ., რომელიც უბანზე მუშაობის დროს დასახიჩრდა ხელის მოტეხით და მოკლეულია ფიზიკურ მუშაობას, 30 პროცენტით უნარ-დაკარგვით.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად დარწმუნდება ყველა ის, ვისაც აინტერესებს ზაჰესის უბნიდან მუშფაკში გადაგზავნილი მოწოდეების ვინაობა და სრულებით აბათილებს ამხ. რაზმაძის უპასუხისმგებელო და დაუსაბუთებელ გამოსვლას პრესაში.

ზაჰესის მუშკომის თავმჯდომარე

ერმალოზ კაცოტაძე.

—

უკვე გავაქვეთ

თქვენი გაზეთის № 220 (1375) მოთავსებული წერილის „რკინის ცოცხა საჭირო“ საპასუხოდ ვაცნობებთ, რომ ინვალიდთა ნადიდან „წითელ ახალშენი“-დან ჯერ კიდევ 17 სექტემბერს სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის საორგანიზაციო დადგენილებით (ოქმი № 52) ინვ. კაკაბაძე ალექსანდრე—გაძეგებული იქნა ქურდობისათვის.

თბილისის ნადიდის ინსტრუქტორი ირ. **მაკავარიანი.**

ეროვნულ-კულტურული ავტონომიის საკითხი

ეროვნული კომისია. შემდგენელობა კულტ. კომისიის.

კულტურული კომისიის შემდგენელობაში შედის 6 კაცი, მათ შორის: კომუჯრედიდან—3, კ. ს. ბ.—1, უპარტიო—1, და ეენატდელიდან—1. შესდგა ოთხი სხდომა სადაც განიხილეს 15 საკითხი, მათ შორის: საორგანიზაციო—3, საფინანსო—4, საშეიფო—2, წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის—1, გაზეთი „არსენალი“-ს შესახებ—1 და დანარჩენი—4.

დრამატიული წრის მუშაობა.

ქართული დრამატიული წრე მუშაობს დაუღალავი ენერგიით. დაარსდა ავრეთვე რუსული და სომხური დრამატ. წრე. უნდა ითქვას, რომ ქართული დრამატ. წრე არის უძლიერესი წრე. სომხური წრე თუმცაღა დგამს საკუთარ წარმოდგენებს, მაგრამ ჯერ სუსტია, რუსულ წრეზე ჯერ არა ითქმის რა, ვინაიდან ახალი ორგანიზაციაა.

ქართული და რუსული სკოლები

ქარხნის მუშებში წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციოთ დაარსდა ქართული და რუსული სკოლები, რომლებშიდაც მეცადინეობს 15 კაცი.

აქაც უნდა აღინიშნოს, რომ მუშები ხანგრძლივ ეევლინებიან სკოლას, ეს აიხსნება იმით, რომ არ არიან მიჩვეულნი სკოლას. მუშებისგან მუშფაკში ს წავლობს—5 და უნივერსიტეტში—1.

ქროტი.

—

რკინისგზელთა ქრონიკა

— **სპეციალისტისა დარაჯებს.** სად. ნავთლულის ადგილკომნა მიმართა თბილისის საუბნო პროფკავშირს იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რათა ყარაიულში მყოფ მუშებს მიეცეთ საზამთრო სპეციალისტისამოსი.

— **მუშათა კლუბის შეკეთება.** საზამთრო საკოუბო მუშაობის დაწყების გამო თბილისის საუბნო პროფკავშირს ეიშუამდგომლოს ამხ. ორანჟალაშვილის სახელობის კლუბის შეკეთებას. კლუბს ემატება 5 ოთახი წრეების სამუშაოდ.

— **რადიო-მიღება.** ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა ხელშეკრულება დასდო საკავშირო საგენტო „კავშირთან“ რადიო-მიმღებებისა და ხმა-მაღალ სალაპარაკოების მოწყობის შესახებ. რადიო-მიმღებები და ხმა მაღალი სალაპარაკოები მოწყობილი იქნება რკ. გზ. ყველა უბნებში. თბილისის საუბნო პროფკავშირმა პლეხანოვის კლუბთან მოაწყო რადიო-მიმღები. კლუბის გამგეობა შეუდგა რადიო მოყვარეულთა წრის დაარსებას.

— **საკლუბო მუშაობა.** ბაქოს საუბნო პროფკავშირმა წინადადება მისცა კლუბის გამგეობებს დაიყოს საკლუბო მუშაობა 20 ოქტომბრიდან.

— **შეშა ნისიად.** თბილისის საქონლის სადგურის ადგილკომნამ მიმართა ადმინისტრაციას მისცეს მუ- [illegible] ნისიათ შეშა.

სვანეთის მთებში*)

ლატფარის ულელტეხილზე

ზემო-სვანეთი მომწყვდეულია მდინარე ინგურის ნაპირებზე კაკასიის მთავარ მთაგრეხილსა და სამხრეთით გაჭიმულ მეორე მთაგრეხილ შორის. ჩვენ უნდა გადავიაროთ სწორეთ ეს მეორე ზოლი ლატფარის ულელტეხილათ და გადავიდეთ კალაში, რომელიც იმყოფება სასაზღვრიდან 28—30 ვერსზე.

წინამძღოლად ნოგვდევს არსენა და მეორე ნახუცარი—ივანე. ეხლა ისიც მასწავლებლობს.

ამ ნახუცარ ივანეს შესახებ ასეთი ანეკდოტს გადმოგვცემენ:

თურმე კომკავშირელები ეკამათებიან ერთ გლეხს, თუ რისთვის გჭირდებათ ღვდელი. გლეხი კიდევ უპასუხებს:

— თქვენ რა გინდათ რომა—ჩემმა დაქორაეტულმა ვირმა ჩემ ეზოში იყოროყინოსო?

ეს გაუგია ივანეს. „მაშ მე ვირი ვყოფილვარო?“ და გაბრაზებულს გაუძარია ანაფორა.

გავედით ცხენის წყალის მარცხენა მხარეს და ჯერ-ჯერობით მიგიყვანართ სწორე ბილიკებით ტყიან ადგილებში. სადაც კი მზე მოგვასწრებს—დაუნდობლათა გვწვავს. არაკის წარმოგვედგენა—თუ სვანეთში ასეთი სიცხეც იქნებოდა.

მთის ძირში ასვლის წინეთ ვიგემეთ ბღლოლას ცივ-ცივი ნაკადი, ცოტაც შევისვენეთ და შეუდექით გზას.

ვამბობ „გზას“, მაგრამ თუ ამ ჩვენ სავალსაც გზა დაერქმევა, მაშინ მეც ჩემი კაცობით გარდან-ქეშანი ვყოფილვარ.

იქავე ჩამოგვეგებენ ჩვენ შესახვედრათ მესტიიდან წამოსული ეგნატე გაბლიანი, ავტორი „ძველი და ახალი სვანეთისა“ და ერთიც დიდ მაუზერიანი ყმაწვილი. ეს ყმაწვილი თავისი შეიარაღებისა და რიხის მიხედულობით ყველამ წარმოვიდგინეთ საგანგებო კომისიის უმთავრეს თანამშრომლად. მხოლოდ მესტიაში გამოარკვია ფილიპემ, რომ ის ყოფილა განათლების განყოფილების გაგგე. ამაზე ფეხლიპემ შეეხვეწა მისცა, რომ განათლების მუშაკს არ შეჰფერის ასე დემონსტრატიულათ იარაღის ტარება, რაც უეჭველათ

*) იხ. „კომუნისტი“ № 216, 217, 223.

არასასურველ შთაბეჭდილების მოახდენს გლეხობაზეო.

გზის შესახებ კამათი შეექნათ ნახუცრებსა და გაიღიანს: არა აქეთ წავიდეთ, არა იქითაო. ჩვენ კი არ შეგვე ძლო ჩვენი „ავტორიტეტული“ აზრი გაშოგვეთქვა, რადგან სრული უვიცნი ვიყავით ამ საქმეში. ბოლოს ნახუცრებმა დასძლიეს ეს და შევყენ სიმაღლეს მარცხენა მხრიდან.

პირველათ ძალიან უსწორო-მასწორო და აყირავებული გზით მივდიოდით. თუმცა ნაკლებ სახიფათო იყო, რადგან ტყიან ნაპირებზე თუ გადავიჩეხებოდით—დალუპვა მაინც არ მოგველოდა.

ამას ჰქვია მთავარი და საუკეთესო გზა სვანეთისა!

რაც უფრო მაღლა ავედით, მით უფრო ბიუიკი წესიერი გახდა. ცხენები ოფლში იწურებიან აღმართისა და სიცხისაგან. ნახევარი საათი შევასვენეთ კიდევ პატარა წყაროს ნაპირას, შემდეგ კი აღარ იქნება წყალი, სანამ კარგათ არ გადავალ ლატფარის ქედს. ამას კიდევ მოვუნდებით 4—5 საათი მაინც.

მივდიოდით მაღლა. ხშირი ტყე თანდათან გადიქცა ჩრგვებათ. ბოლოს ჩრგვებიც შეიცვალენ ბალახით. თანდათან გრილი ნიავიც გვეტუტრა მწვერვალების სიმაღლიდან. მთის დიდრონი გვირილებით, ზიზილებით და მრავალგვარი უცხო ყვავილით თვალწარმტაცად აფერადებული იქაურობა. წელამდის მომდგარ მწვანე ბალახში არ შეიძლება არ დავისვენოთ. ცხენებმაც უნდა ქარი ამოიღონ და თანაც კუჯი წაახალისონ.

მართალია ამ გზის გადასვლით ყველანი აზვიადებდენ საქმეს, მაგრამ ნამდვილათ ცაგერიდან ლეკსურამდის უფრო მეტათ იყო საფრთხილო, ვიდრე აქ. აქაც კი არის საკმაოთ ფათერაკიანი გადასავალები, მაგრამ ჩვენ თითქოს აინუნშიც აღარ ვიგდებთ, ისე შევეჩვიეთ იქაურობას.

ქორები უკვე ჩვენს ზედა დაფრინავენ და რაღაც სიამაყეს გრძნობ ასეთ მაღალ მთაზე სიარულით.

თვით ლატფარის ქედზე გამოჩნდა ოციოდე კაცი. ისინი წამოსულან ფილიპეს შესაგებებლათ. რომელი ავტოთი, რომელი ტელეგრაფითა და რადიოთი გაიგეს ეს ამბავი—სწორეთ ვერ გამოგვიკვლევია.

კიდევ ერთი საათის სიარულის შემდეგ უკვე ავედით ლატფარის დაბაკებულ ქედზე, რომელიც მდებარეობს 9.000 ფუტის სიმაღლეზე (სამ ვერსს ცოტა აკლია).

აქ გაისმა ერთბაშად სროლა, რომელიც საარაკო გრგვინვათ მიგორავს მთებიდან მთებში. თანაც ვაშას ძახილი ვერცხლის სინზე ჩამორეკილ ფოლადივით გაისმის ამ მაღალ სმენით გადაქცეულ არე-მარეში, ამას ზედ მოჰყვა სვანური შერმეტყველობით დაფოლადებული სიტყვები და მასალმესანი.

დარწმენებული ვარ, ამ დროს ქთელ დედამიწის ზურგზე არსად არ ყოფილა ასე მაღლა გამართული ზეიმი-შეხვედრა, სადაც ხალხი ამაკათ და გულახდილათ უხიარებს თავის ჭირ-ვარამს ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს.

სვანებს თითქოს განგებ შეურჩეიათ ეს მაღალი ადგილი უფრო ადრე მწვერვალების დამოწმებით, რომ აქ დახარჯული გულისნადები, აქ გამეფებული საქვეყნო გაჭირება უფრო ღრმათ და ნიშანდობლიკათ ჩაიბეჭდოს ხსოვნაში.

მე დაწვრილებით არ ვუგდებ ყურს რას ამბობენ. შე მშობიარეს თვით ხუროთის სიდიადემ და ერთიან დაეპერტყე ქალაქის სულიშეხუთავ აზრებისა და განცდებისაგან.

წადგებით ციტა წინ, ზემო-სვანეთის გადასახეიზე და თქვენ თვალწინ ისახება ბენების უდიდესი და ულამაზესი სურათი.

პირველივე თვალის გადავლებაზე წინ გეგებებათ სვანეთის პატარძლათ წოდებული თვიდან ბოლომდის თეთრ სამოსში მოწერწეტე თეფეთეულდი (ოთხნახევარი ვერსის სიმაღლისა). მას ნახევრად ამოჰფარებია უკან ღირსეული პირფარეშვით ბისტოლას მწვერვალი. მარჯვენივ კი ქოდარაჯე რაინდივით ამოსდგომია ჯვერში შხარის დაშვალარავებული და მხარ-ბეჭიანი სიმაღლე. თეთრი ალზაპრი მდეკვიანით ჩამბულან ესწორო-მასწორო ფერხულში სხვა დანარჩენი ქედები და მწვერვალები. ამ უზარმაზარ მდევებს შორის კი თეთრკანიანი გველეშაპებივით მძიმედ ჩაწოლილან შბარასა, ადიშისა და სხვა მსგავსი ყინულარები. საუკუნოებით გაცივებულ იმათ გულიდან რამდენი გიეი ნაკადი ჰპოვებს სიცოცხლის დასაწყისს—ვინ ჩამოსთვალოს.

ეუცქერი ამ დასაბამიდან უძრავათ გაშეშებულ თეთრ ჯარებს და ვგრძნობ, რომ ჩემს წარმოდგენაზე იშვიათის სიძლიერით იჭრება ბუნების ეს უმაგალითო სილამაზე ცა სიდიადე.

ნეტავ შეიძლებოდეს ამ მთებთან სიტყვის თქმა, ან მუხლის თავზე დაცემა და ლოცვა, ან მეგობრულად მხარზე ხელის გადახვევა და მაყრულის შემოძახილი.

ამ თეთრ-ნაბდოსან ჯარებს ქვევით დარეხვენილად აყუდებულან ტანმიმცრო ტყიანი მთები. ძირს, სადღაცა კი თვალის მორიდებით მიიკლაკნება შფოთიანი ენგური, მაგრამ აქ ამისი ჩამი-ჩუმიც კი არ გვესმის.

ლატფარის გასწვრივ კი განივრათ გაუშლია მკლავები მეორე მთაგრეხილს. მისი ახოვანი მწვერვალებიც უხვად დატვირთულან ჭალარით და თავის უფროს მომძეებთან ერთად ასე შემოვლებიან თეთრ გალავნათ ძირს, ციხეებში ჩაკეტილ „თავისუფალ სვანეთს“.

მარჯვნივ ენგურის სათავეებთან მოსჩანს უშგულის სათემო სოფელი ჩვიბიანი. ეს პირველად დავინახეთ ზემო-სვანეთის სოფელი. ერთიან თავისებური და იშვიათი შეხედულებისა, რომლის მაგვსიც საკართველოს არც ერთ კუთხეში არ მოიპოვება.

მთელ სოფელში, ყოველ სახლთან ლამაზად ატყორცნილან ციცქნ კოხტა-კოხტა კოშკები და ჭქმნიან ისეთ იშვიათ პანორამას, რომელსაც სტამბოლიც კი ვერ შეედრება თავისი სამაგალითო მინარეტებით.

თვით თვეთნულდის მწვერვალივით გაშეშებულხარ ბუნების ამ ბუმბერაზულ სიძლიერის წინაშე და ნანობ: რატომ წინედაც არ გინახავს იგი!

და იმასაც ნანობ: ვაი, თუ შემდეგშიაც ვეღარა ნახო იგი!

მე თვითონ განვიცდი სიმაღლესა და სიამაყეს ამ ბუმბერაზულ მთების ცქერით და აღარ კი ვიხედები უკან, დაბლა, სადაც ცხენის წყალ ზე გაყოლებული ქვემო-სვანეთი სულ ჩვეულებრივ რამეთ წარმოშიდგება ამ უბადლო სურათის შემდეგ.

ცივმა ნიავმა თითქმის დამაკრუა. ყველამ საჩქარით ჩავიცვეთ, თუ კი თბილი რამ გვებადა.

ცოტას შევნაყრდით,—უფრო სილამაზის გულისთვის და რაღაცას აღსანიშნავთ, ვიდრე სიმშილის მოსაკლავათ.

დავეშვით შორე მხარეს. ჩვენს დაბლა ხეები საკსეა ძველი თოვლით, რომელსაც მწვავეთ ებრძვის ზ ფხულის მზე და მაინც ვერ მორ ვია.

ცოტას რომ ჩავსცდით გზას—ერთ ადგილას მრავლათ აგროვია მუშტზე კოტა უფროსი თეთრი ქვები.

ამის შესახებ ასეთი თქმულებაა:

თურმე სვანები მიდიოდენ სადღაც საომრათ. რამდენიც მეომარი ყოფილა, ყველას თითო ქვა დაუგდია აქ. გამოვლისას ისევ დავითვალოთ და ასე გავიგოთ—თუ რამდენი დაგვაკლდა ბრძოლაშია.

ბილიკი მართალია საკმაოთ ვიწროა და ნიალვრებისაგან ჩათხრილ-ჩაოხრებული, მაგრამ კისერ-მოსაღები ადგილები მაინც ნაკლებ არის და უფრო გამბედავათ მივდიოართ. ქვევით უკვე სულ ტყეებზე ძიიკლაკნებაგან თავდაცული ვართ.

ქალას თემში.

საღამოს 6 საათზე ჩავედით ქალაში. აქაც პუმარილით შეეგება ხალხი ფილიპე. ქალა თემის სახელია და არა რომელიმე სოფლისა. ხამდვილად ამ სოფელს ჰქვია ლალხარი. ხმოლოდ მგზავრებისა და უცხოელებაგან ესეა გადგვილებული საქმე, რომ თემის ცენტრს—თემისავე სახელს უწოდებენ და არა იმას, რაც ნამდვილი ჰქვია ამ სოფელს. სწორედ ასევეა უშგული, მეატია, ბეჩო და სხვა, რაც თემის სახელს წარმოადგენს და არა რომელიმე სოფლისა ან დაბისას.

მაშ მეც ისევე ვიხმარ, როგორც უფრო გასაგებია და მიღებული.

ჩვენ ეხლა ვიმყოფებით ზემო-სვანეთში. ეს სვანეთი შესდგება ორი უმთავრესი ნაწილიდან: აღმოსავლეთის ნაწილს, ენგურის სათავეებთან ჰქვია „თავისუფალი სვანეთი“, დასავლეთ-სამხრეთისას კი—ენგურის ჩაყოლებით—სადადეშქელიანო სვანეთი. „თავისუფალ სვანეთს“ ეწოდება ეს სახელი, რადგან მას არას დროს არა სდგმია ბატონობის უღელი და თუ ვისმე

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

— **უღარიბეს მოქალაქეთათვის** ღამის გასათევი სახლის მოსაწყობად აღმასკომმა გადასდო 25,000 მან.

— **პროფკავშირის წევრთა შორის** წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის უფრო გასაფართოებლად, აღმასკომმა გადასწყვიტა თავის მხრით მიიღოს ენერგიული მონაწილეობა ამ საქმეში, რისთვისაც დაარსებული იქნა ცალკე კომისია ამს. ბუხნიკაშვილის, ასარიბეკოვის და ჭელიძის შემადგენლობით.

— **სკოლის გარეშე** დარჩენილ 2000 ბავშვის სკოლებში მოსათავსებლად, აღმასკომმა დაადგინა გასხნას ახალი ჯგუფები და სადაც მოსახერხებელია მოაწყოს საბავშვო ბაღები.

— **ახალი საავადმყოფოები.** აღმასკომის ჯ�. განყოფილებას განზრახავა აქვს მომდინარე წელს საავადმყოფოებად გადააკეთოს ყარაიაზის და მარტყოფის საექიმო პუნქტები.

— **ხიდის აგება.** ავლაბრის მოსახლეობისათვის მიმოსვლის გასაადვილებლად, აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა ფალავანდიშვილის ხეზე გაკეთოს ხიდი.

— **კოჯორის რკინიგზა.** აღმასკომი ამ დღეებში დაამთავრებს გამოკვლევას თბილის-წყალთა-კოჯორის მიმართულებით რკინიგზის გაყვანის შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

— **გლეხკომებში მომუშავე ბოროტ-მომქმედ პირთა წინააღმდეგ.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის და ცენტრალური გლეხკომის ზუადგომლობით იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ცირკულიარული მიწერილობები დაუგზავნა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოებს და რესპუბლიკის ყველა სახალხო მოსამართლეებს პირველ რიგში გაარჩინონ იმ პირთა საქმეები, რომლებმაც გლეხკომებში პირო�მქმედება ჩაიდინეს.

— **თავშესაფარში მოთავსებულნი ინვალიდების რაოდენობა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მყოფ საინვალიდო სახლებში სრულ კმაყოფაზე ჩარიცხული არიან: პირველ სახლში (ზუბალაშვილის სახელობის) ინვალიდი მამაკაცები—100, მეორეში ინვალიდი ქალები—100 და მესამეში—სამხედრო ინვალიდი მამაკაცები—50.

ზაჰესში

— **ტურბინების ნაწილები.** ზაჰესის კომიტეტმა ლენინგრადიდან მიიღო ზაჰესისათვის საჭირო ტურბინების ნაწილები.

— **ცემენტის დაკვეთა.** ზაჰესის კომიტეტმა რუსეთის ქარხნებს დაუკვეთა 300 ათასი ფუთი ცემენტი.

ავიაქიმში

— **კონფერენციები.** ახლო ხანში მაზრებში ჩატარებული იქნება ავიაქიმის სამაზრო კომიტეტების კონფერენციები.

— **საფრენ მოდელების შეჯიბრებაზე** ქუთაისში ჯილდოების დასარიგებლად „ავიაქიმმა" გადასდო 600 მანეთი.

ხსპადასხვა

— **მოჯამაგირეთა შორის** კულტგანათლების მუშაობის საწარმოებლად მიწა-ტყის კავშირის ცენტრ. კომიტეტმა გადასდო 2000 მან.

— **ხაბინაო კოოპერაცია.** საქ. საბინაო კოოპერაციას ამ ჟამად აქვს 36,136 მან. საკუთარი საპაიო თანხა.

— **ჯანსახკომის დადგენილებით** ახლო ხანში გამოკვლეული იქნება საავადმყოფოებიან არსებულ სადეზინფექციო კამერების მუშაობა.

— **ტრესტების გაერთიანება.** გაერთიანებული იქნა ცენტრალურ რაიონის ელექტრო-ტეხნიკური ტრესტი (ეტცრ) და ელექტრონის მანქანათა საიმშენებლო ტრესტი (ელმაშტრესტი) ერთ მთავარ ტრესტათ, შემდეგი სახელწოდებით: სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტი („ვგეტ"). ტრესტის გამგეთ დაინიშნა ინჟ. ვ. კობერი, მის მოადგილედ—დ. დ. ბურჯანაძე.

ქრონიკა და მიწისქვეშეთი

